საქართველოს პარლამენტის წევრი

№ 15299
25.09.17

საქართველოს პარლამენტის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანიძეს

ქალბატონო ეთერ,

გიგზავნით, სამუშაო ვიზიტის ანგარიშს, რომელიც გაიმართა 2017 წლის 27 აგვისტო -3 სექტემბერს, ავსტრიაში.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ანგარიშის უახლოესი ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანა.

დანართი: 2 გვერდი

პატივისცემით,

საგარეო ურთიერთობათა
კომიტეტის პირველი მოადგილე

ნინო გოგუაძე

საქართველოს პარლამენტის წევრის - ნინო გოგუაძის ვიზიტის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ვენა, ავსტრია

27 აგვისტო - 3 სექტემბერი, 2017

მ/წ 27 აგვისტო - 3 სექტემბერს ავსტრიის რესპუბლიკის ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტოს მოწვევით ვიმყოფებოდი „ავსტრიის ლიდერობის პროგრამის" ფარგლებში ავსტიაში, ქალაქ ვენაში. პროგრმა განხორციელდა ავსტრიის რესპუბლიკის ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტოს ორგანიზებით.

პროგრამაში მონაწილეობდნენ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის - აშშ, ინდოეთი, კოლუმბია, სამხრეთ აფრიკა, მაკედონია, ბოსნია, ალბანეთი. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ავსტრიაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გაცნობა, უკვე არსებული ურთიერთობების გაღრმავება და თანამშრომლობის სამომავლო სფეროების განსაზღვრა.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები შედგა ავსტრიის რესპუბლიკის ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტოს წარმომადგენლებთან: **იოჰან ბრიეგერი** - ელჩი, გენერალური დირექტორის მოადგილე, ასტრიის რესპუბლიკის ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტოს ბიზნესის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი; **მაიკლ ლინჰარტი** - ელჩი, ასტრიის რესპუბლიკის ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტოს გენერალური მდივანი; **კატარინა ვიესერი** - ასტრიის რესპუბლიკის ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტოს აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიის, აღმოსვალეთ სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტრნიორობის დეპარტამენტის უფროსი; **დონატუს კოკი** - ასტრიის რესპუბლიკის ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტოს სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპასთან ურთიერთობების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; **პიტერ ელსნერ მაქეი** - ასტრიის რესპუბლიკის ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტოს ავსტრიის OSCE-ისტან ურთიერთობის კოორდინატორი;

ალექსანდრე შალენბერგი - ასტრიის რესპუბლიკის ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტოს ევროპის დეპარტამენტის გენერალური დირექტორი; ელისაბედ თიჩი-ფიზლბერგერი - ასტრიის რესპუბლიკის ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტოს მომსახურების დეპარტამენტის გენერალური დირექტორი;

შეხვედრები გაიმართა ასევე, ავსტრიული კერძო კომპანიების ხელმძღვანელ პირებთან, მათ შორის: კლაუს ლიესნერი - ავსტრიის სათხილამურო ფედერაციის გენერალური მდივანი; მარკუს ვებერი - „Red Bull"- კომპანიის მარკეტინგის უფროსი; მარია ჰაუსერ-ლედერერი - "Stangwirt" კომპანიის მარკეტინგისა და პრ-ის ხელმძღვანელი; კარლოს ლანჯი - "GE Jenbacher" კომპანიის პრეზიდენტი; ქრისტოფერ გერინ-სვაროვსკი - "Tyrolit" კომპანიის ფინანსური დირექტორი; მათიას ნიფი - "Swarovski"კომპანიის ხალხთან ურთიერთობის მენეჯერი; ტომას ლეისინგი - "Egger" "კომპანიის ხალხთან ურთიერთობის მენეჯერი; მაქსიმილიან რიედელი - „Riedel" "კომპანიის ფინანსური მენეჯერი დირექტორი;